(სსმ III, 20.01 2010 წ., N 6, მუხ. 54)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
040.030.000.22.034.014.093

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება N 39
2010 წლის 14 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

"პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის "ა" და "ნ" ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. მერაბიშვილი

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მოსამსახურეთა (პოლიციელთა) ფორმის ტანსაცმელი



1. ყოველდღიური საზაფხულო ფორმა

პლანშეტი 1

ყოველდღიური საზაფხულო ფორმა მამკაცებისათვის - მუქი ლურჯი ფერის შარვალი, მუქი ლურჯი მოკლემკლავებიანი პერანგი ჯიბეებით, შავი ჰალსტუხი, მუქი ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური საზაფხულო ფორმა ქალებისათვის - ლურჯი ფერის მოკლემკლავებიანი პერანგი ჯიბეებით, ლურჯი ფერის შარვალი და ქვედაბოლო, შავი ფერის ჰალსტუხი, მუქი ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.



2. ყოველდღიური საზაფხულო ფორმა

პლანშეტი 2

ყოველდღიური საზაფხულო ფორმა მამკაცებისათვის - მუქი ლურჯი ფერის შარვალი, ლურჯი ფერის მოკლე მკლავებიანი მაისური, თეთრი ფერის მოკლემკლავებიანი მაისური, მუქი ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური საზაფხულო ფორმა ქალებისათვის - ლურჯი და თეთრი ფერის მოკლემკლავებიანი მაისური, ლურჯი ფერის ქვედაბოლო და შარვალი, მუქი ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.



3. ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა

პლანშეტი 3

ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა მამაკაცებისათვის - მუქი ლურჯი ფერის შარვალი, მუქი ლურჯი ფერის გრძელმკლავებიანი ჯიბეებიანი პერანგი, მუქი ლურჯი ფერის კეპი, ჰალსტუხი შავი, შავი ფერის ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა ქალებისათვის - მუქი ლურჯი ფერის გრძელმკლავებიანი ჯიბეებიანი პერანგი, ლურჯი ფერის შარვალი და ქვედაბოლო, ჰალსტუხი შავი, მუქი ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.



4. ყოველდღიური ზამთრის ფორმა

პლანშეტი 4

ყოველდღიური ზამთრის ფორმა მამაკაცებისათვის - მუქი ლურჯი ფერის შარვალი, თეთრი ფერის გრძელმკლავებიანი პერანგი, ჰალსტუხი შავი, მუქი ლურჯი ფერის მოკლე დათბუნებული ქურთუკი, მუქი ლურჯი კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური ზამთრის ქალის ფორმა - მუქი ლურჯი ფერის შარვალი და ქვედაბოლო, თეთრი ფერის გრძელმკლავებიანი პერანგი, ჰალსტუხი შავი, მუქი ლურჯი მოკლე დათბუნებული ქურთუკი, მუქი ლურჯი კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.



5. სააღლუმო გამოსასვლელი ფორმა

პლანშეტი 5

სააღლუმო გამოსასვლელი ფორმა მამაკაცებისათვის - მუქი ლურჯი შარვალი, მუქი ლურჯი ერთბორტიანი პიჯაკი (ფრენჩი), თეთრი ფერის პერანგი, შავი ჰალსტუხი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა,

სააღლუმო გამოსასვლელი ფორმა მოსამსახურე ქალებისათვის - ლურჯი ფერის ქვედაბოლო და შარვალი, მუქი ლურჯი ფერის ერთბორტიანი პიჯაკი, თეთრი ფერის პერანგი, შავი ჰალსტუხი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა,



6. ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა

პლანშეტი 6

ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა მამაკაცებისათვის - ლურჯი ფერის შარვალი, ლურჯი ფერის სვიტერი, შავი ფეხსაცმელი, ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.

ყოველდღიური საშემოდგომო-საგაზაფხულო ფორმა მოსამსახურე ქალებისთვის - ლურჯი ფერის შარვალი და ქვედაბოლო, ლურჯი ფერის სვიტერი, შავი ფეხსაცმელი, ლურჯი ფერის კეპი, შავი ფეხსაცმელი, წოდების შესაბამისი ატრიბუტიკა და ფურნიტურა.



პლანშეტი 7

7. წოდებრივი განმასხვავებელი ნიშნები

პლანშეტი 8

8. სამკლავური ემბლემა

სამკლავური ემბლემა (აკადემიის ემბლემა) წარმოადგენს ჰერალდიკურ მრგვალ ფარს.

ფარის ლაჟვარდისფერ (ლურჯ) ველზე, ცენტრში გამოსახულია ჰერალდიკური ფარი, მეწამულ (წითელ) ველზე ოქროს ლომის გამოსახულებით, რომელსაც უპყრია ჰერალდიკური ფარი, რომლის ლაჟვარდისფერ (ლურჯ) ველზე გამოსახულია ოქროსფერი ქვევიდან ზევით მიმართული წიგნი (გელათის აკადემიის სიმბოლო).

მთავარი ფარის გარშემო არის ოქროსფერი წარწერა: "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია".

კომპოზიციის ქვედა ნაწილში ოთხქიმიანი ვარსკვლავებით შედგენილი ოქროს ხუთჯვრიანი სიმბოლოა გამოსახული (უსაფრთხოების, კონტროლის სიმბოლო).